

მე-6 კლასი

არითმეტიკა

1.(6 ქულა) დედა კენგურუ 1 წამში 3 მეტრს გადახტება, ხოლო შვილი 0,5 წამში 1 მეტრს. მათ ერთდროულად დაიწყეს მოძრაობა აუზიდან ევკალიპტისკენ სწორი ხაზით. რამდენ წამს დაელოდება დედა შვილს ხის ქვეშ, თუ დაშორება აუზიდან 240 მეტრია

- ა) 40 წმ. ბ) 60 წმ. გ) 20 წმ. დ) 80 წმ.

2. (5ქულა) 1, 2, 3, 4, 5 ციფრებიდან შეადგინეთ ორნიშნა და სამნიშნა ისეთი რიცხვები, რომ მეორე რიცხვი იყოფოდეს პირველზე (თითოეული ციფრი უნდა იქნას გამოყენებული ზუსტად ერთხელ). ეს რიცხვებია:

- ა) 14 და 352 ბ) 43 და 521 გ) 13 და 452 დ) 14 და 532

3. (5ქულა) მგზავრმა გზის $\frac{3}{5}$ ნაწილი 6 საათში გაიარა. რამდენ საათში გაივლიდა ის დარჩენილ ნაწილს, თუ სიჩქარე 2-ჯერ გაიზარდა?

- ა) 4 ბ) 8 გ) 6 დ) 2

4. (7 ქულა). ნესვი, საზამთრო და გოგრა ერთად 26 კგ-ს იწონის. გარდა ამისა, ცნობილია შემდეგი ორი პირობა:

I. ნესვი 11 კგ-ით მსუბუქია საზამთროზე;


II. საზამთრო და გოგრა ერთად 21 კგ-ია.

იმისათვის, რომ გავიგოთ რამდენს იწონის ნესვი

- ა) საკმარისია მხოლოდ I პირობა, II კი არა.
ბ) საკმარისია მხოლოდ II პირობა, I კი არა.
გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ არც ერთი ცალ-ცალკე
დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე

გეომეტრია

5.(9 ქულა) იპოვეთ გამუქებული სამკუთხედის ფართობი, თუ ერთი კვადრატის ფართობი 1 სმ^2 -ია.




ა) 8

ბ) 7

გ) 10

დ) 6

6. (5 ქულა) სამი წრფე ერთ წერტილში იკვეთება. გამოთვალთ $\alpha + \beta$, თუ $\gamma = 40$




ა) 80°

ბ) 140°

გ) 120°

დ) 160°

7. (6 ქულა) სურათზე ორი წრე და ერთი კვადრატია, დიდი წრის ფართობი 1,5-ჯერ მეტია კვადრატის ფართობზე, ხოლო მცირე წრის ფართობზე 2-ჯერ მეტი, მაშინ კვადრატის ფართობი მცირე წრის ფართობზე რამდენჯერ მეტია?



ა) 3-ჯერ

ბ) 2,5-ჯერ

გ) 0,75-ჯერ

დ) 1,5-ჯერ

ლოგიკა

8. (3 ქულა) გვაქვს 526 ცალი ფურცლის ნაგლეჯი. აიღეს რამოდენიმე მათგანი და თითოეული დახიეს 4 ნაწილად, რის შედეგად მიიღეს 1012 ცალი ნაგლეჯი. რამდენი ნაგლეჯი აულიათ დასაგლეჯად?

ა) 486

ბ) 153

გ) 162

დ) 201

9. (5 ქულა) ვთქვათ 3 კატა 2 დღეში იჭერს 6 თაგვს. რამდენ თაგვს დაიჭერს 1 კატა 30 დღეში

ა) 15

ბ) 30

გ) 12

დ) 20

10. (5 ქულა) იპოვეთ უდიდესი სამნიშნა რიცხვი, რომლის გაყოფისას 45-ზე მიიღება განაყოფი რომელიც ნაშთის ტოლია.

ა) 966

ბ) 946

გ) 956

დ) 976